საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N480 2024 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის №249 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის“ მე-2 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისა და მაღალმთიან დასახლებებში საჯარო ან კერძო პროექტების განხორციელებისათვის „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსათვის არაუმეტეს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის

გამოყოფა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ერთიანი აგროპროექტის“ (პროგრამული კოდი: 31 05) პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამის – „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 31 05 22) განსახორციელებლად;

ბ) არაუმეტეს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარი მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**